დილა

№3. 2005 წელი

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ჩხეტიანი

ლოცვა

უფალო, შენთა მცნებათა
გულზე დავიწერ თრთოლვითა,
ვახარებ მამას, დედასა
წაღმართად გარჯა-შრომითა.

მადლი მომკერძე, მინათე
გონება ღვთიურ გზნებითა,
მაცოცხლე შენი სიმართლით,
მატარე შენი გზებითა.

ლალი ჯაფარაშვილი

მშვიდი დღე

ცის ლანგარზე
ოქრო დნება,
მზის სხივებად
იღვენთება,
სივრცეებში ნანაობს;
დედამიწა
ახელს თვალებს,
ქარბორიო
აშრიალებს
ტეის ჩრდილების
მარაოს.

ერთ ციცქნა სხივს,
ქარაქუცას,
ხევში ფეხი
გადაუცდა,
ჩრდილი გადაეფარა;
ვაზის ლერწზე
ბრწეინავს წვეთი,
მეცხრე ციდან
მამა ღმერთი
ამწყალობებს
ქვეყანას!

მარიამ წიკლაურ-ძიძიგური

წია-წია წიპონია

წია-წია-წიპონია,
ერთმანეთი გვიპოვია:
მამას - დედა,
დედას - შვილი,
შვილს - ღიმილი,
ღიმილს - მზე!
გაფოთლილა საქართველოს
სიცოცხლის და რწმენის ხე!

მხატვარი
მანანა მორჩილაძე

გული სალუქვაძე

ამ მოთხრობამ „დილის“ კონკურსში პრემია დაიმსახურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნუტები

საუზმეზე ბებიამ ამბავი მოიტანა, ჩვენმა კატამ კიბის ქვეშ ხუთი კნუტი დაყარაო. ბავშვებმა ყურები ცქვიტეს. უფროსმა შვილიშვილმა, ლალიმ, წარბი ზემოთ აზიდა და თქვა: – რატომ „დაყარა?“ – „მოიგო!“ თუ კი შველიამ ფური მოიგო, კატამ... აზრი მამამ გააგრძელა: – ზოგიერთ ცხოველზე, ღორზე, ძაღლზე, კატაზე ასე ამბობენ, ასეა მიღებული.

– შობა! – სიტყვა გამოაკეთა ზაზამ.

– შობა, შობა, – ღიმილით მიუბრუნდა მამა და ბიჭს შუბლზე ქოჩორი ჩამოუჩეჩა.

ბავშვები სუფრიდან ჩვეულებრივზე ადრე წამოიშალნენ. შეწუხებული ბებია თავს ვეღარ იკავებდა. ორი განებივრებული კატა ოჯახს ისედაც ჰყავდა. სახურავახდილი ქვაბი ვერ დაედგა სამზარეულოში, – კატები იმავ წუთს ცხვირს ყოფდნენ შიგ.

– რად მინდა ამდენი კატა, გაწყდა მაგათი სინსილა, – ქოთქოთებდა ბებია, მაგრამ უცებ ტონი შეიცვალა და თითქმის მუდარით მიმართა შვილს:

– თუ ღმერთი გწამს, მომაშორე ეს ცინდლები.

– რას გვიშლიან, თაგვებს იჭერენ, თავსაც თვითონ ირჩენენ, – უპასუხა მან.

ბებია შვილის ხუმრობამ აღაშფოთა:

– შვიდი კატა მტრისას! არა, არა, მომაშორე, წაიყვანე!

– სად წავიყვანო, ადამიანო?!

– გადაყარე!

კიბის ქვეშ ბავშვების ჩოჩქოლი და შერბენ-გამორბენა ატყდა. ყველა გამალებით ცდილობდა, რაღაც ეღონა. დათომ და გოჩამ დედისა და შვილების გადამალვა არჩიეს.

– მაინც იპოვიან, – თქვა ზაზამ. პატარა ევგენიმ ერთი კნუტი უბეში ჩაისვა, და აი, ამ დროს, თვალებგაბრწყინებულმა ლალიმ ტაში შემოჰკრა:

– მოდით, კნუტებს ჩვენი სახელები დავარქვათ, – თქვა და მცირეოდენი დუმილის შემდეგ დაქადნებით განაგრძო:

– ვნახოთ, რომელს გაგვიმეტებენ!

ეს აზრი ყველას მოეწონა.

ბებია ჯერ კიდევ სუფრას ალაგებდა, როცა კარებში ლალი გამოჩნდა. ხელისგულზე პატარა, თვალხუჭულა კნუტი დაესვა და საჩვენებელი თითით ცხვირზე ეფერებოდა.

– ამ პატარა გამურულს ლალი ჰქვია, – თქვა მან და უფროსებს არტისტულად გადახედა.

მერე ოთახში ზაზამ შემოყო თავი. იდაყვში მოხრილ მკლავზე მხოლოდ ფუმფულა ღუნღლი მოუჩანდა.

– ამას ზაზა ჰქვია, – განაცხადა მანაც და ლალის გვერდით დადგა. ზაზას დათუჩა და გოჩიკო შემოჰყვნენ. მათაც თავ-თავიანთი სახელები საჯაროდ აჩუქეს კნუტებს. ბოლოს ნაბოლარა ევგენი შემოჩანჩურდა:

– ამ პაწაწკინტელას ევგე ჰქვია, – თქვა მანაც და ხელით მაისური გაიქაჩა. მაა, – გაისმა სუსტი კნავილი. ბიჭმა უბიდან კნუტი ფრთხილად ამოიყვანა და ლოყა მიათბო.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა...

ადგილიდან არავინ იძვროდა. მხოლოდ დედა კატა ებლანდებოდა ბავშვებს ფეხებში და ნებივრად აპრეხილ კუდს ხან ერთს, ხან მეორეს ალერსით უთათუნებდა.

– ეს რამ მოაფიქრათ ამ შეჩვენებულებს, – ბუზღუნებდა სამზარეულოში ბებია და სადღაც, ღრმად გულში, ჩუმად ეღიმებოდა.

მხატვარი
ზაურ დეისაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა

მამალყინწა



გიამბობთ ერთსა ამბავსა
და დაიჯერეთ გულითა;
თუ ამას ტყუილს ვამბობდე,
ბალღებო, წავწყდე სულითა.

უღელსა ვთლიდი კარებზე,
მზის ამოსვლისა ხანია;
ციდან მომესმა ყივილი...
„ნეტავ, ვის აუყვანია
ცაში მამალი?“ - ვიფიქრე
და ავიხედე სწორადა.
ქორი მიფრინავს და ერთი
არ მომეჩვენა ორადა.
მაგრამ რის ორი? ყივილი
მესმის... დავუგდე ყურია
და გავარჩიე, კლანჭებში
ქორს მამლაყინწა უჭირია.

მიაქვს, თან ყივის მამალი,
თითქოს იქ არაფერია;
თითქოს დედლებში სეირნობს,
ქორს როდი დაუჭერია.

უნებრივ წამსკდა სიცილი,
დავიწყე წერა ჰირჯვრისა.
გორს მოეფარნენ, რაღა ქნეს,
როდი რამ ვიცი იმისა.

მე ამას ვამბობ, სხვა რა ვთქვა:
ეხლა-კი დამიჯერია,
რომ ცხოველებშიც ბედენად
მხდალთან გულადიც რევია.

თორემ ვის გაუგონია
იმ დროს მამალი ყიოდეს,
როს ქორი შეჭმას უპირობს, -
ან წუწული არა სტკიოდეს?!

ტკივილით, დიაღ, სტკიოდა,
ამას რად უნდა ფიცია, -
მაგრამ ასეა მუდამა,
ვინც მხნე და გულით მტკიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავრის ამოერა მამალსა
სხვითა არაფრით შეეძლო;
რომ არ ეყივლა, რა ექნა,
მაშ ვაჟკაცს როგორ გაეძლო?!

მტრის გულის მოსაკლავადა,
სხვა თუ ვეღარა იღონა,
გულს ბრაზი შემოწოლილი
მხოლოდ ყივილით იფონა.

მაღლიდან ქათმებსაც ამცნო:
„მნახეთ, გმირულად ვკვდებიო,
არ მეშინიან სიკვდილის,
თქვენსავით არა ვკვდებიო“.

სხვისა არ ვიცი, და მე კი
ვთქვი: „ეოჩაღ, მამლაყინწაო,
წაწყმდეს, ვინაცა შენ ფერი
ვაჟკაცი დაამიწაო“.

„ნაკადული“
№5, 1907 წ.

ბაჩანა

მელია და კაკაბი

ტყვიან, - ერთხელ მელამა
კაკაბი დაიჭირაო,
წამოწვა გახარებული
და შეჭმა დაუჰირაო.
კაკაბმა უთხრა, - ილოცე
შენის შვილების მზესაო:
მეცა ვცხონდები და ღმერთი
შენც მოგიმართავს ხელსაო.
და მელა დიდი ამბითა
მოჰყვა ღვთის დიდებასაო,
მუხლის ურას, ჰირჯვრის წერასა,
წვრილ ხმაზედ გალობასაო...
თავის ჯკუაში უმეტესს
ელოდა წყალობასაო.
კაკაბს დრო დაჰრჩა, გაფრინდა,
გაუდგა თავის გზასაო,
მელას ქეიფი წაუხდა,
ახლა იძახდა ვასაო.
ტიროდა: ბედის დამკარგველს
ახა-ვაგლახი მელსაო.
კაკაბი ჰირში მეჭირა,
რაღას შევთხოვდი ღმერთსაო?!

„ნაკადული“
№10, 1907 წ.

მხატვარი ვაშა ქურხული

მზე და მთვარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესღაც ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ერთ დღეს ბერიკაცი მინდორში წავიდა სამუშაოდ და რასა ხედავს?! მზე და მთვარე კამათობენ. მათ მოხუცი შენიშნეს და ჰკითხეს:

– გზა დაგვილოცნია, ბერიკაცო. ერთი გვითხარი, მზე სჯობია თუ მთვარე? ჩვენგან რომელია ამ სამყაროსთვის უმჯობესიო?

– მზე დღისითაა უმჯობესი, მთვარე კი ღამითაო, – მიუგო მოხუცმა.

ისინი ძლიერ ნასიამოვნები დარჩნენ და ბერიკაცს ჰკითხეს, რითი დაგასაჩუქროთო?

– რაც გინდოდეთ, ის მომეცით, კმაყოფილი ვიქნებიო, – უპასუხა მოხუცმა.

მაშინ მზემ და მთვარემ მას ქათამი მისცეს:

– ყოველთვის, როცა ეტყვი „ლირები დადე“, დადებსო.

წაიყვანა ბერიკაცმა ქათამი და გზაში უთხრა: ლირები დადეო. მანაც დადო.

შინ გახარებული დაბრუნდა და დედაბერს კარგი ამბავი ახარა. მერე საქათმის გასაკეთებლად ხელოსანი მოიყვანა, ცოლი კი გააფრთხილა: არაფერი უთხრაო.

ხელოსანი მოვიდა და საქათმის კეთებას შეუდგა. დედაბერმა საიდუმლო ვერ შეინახა, ყველაფერი უამბო და მერე ქათამს ლირების დადება უბრძანა. მანაც დადო.

ცბიერმა ხელოსანმა ეს რომ დაინახა, საქათმეში სხვა ქათამი ჩასვა, ლირების მდებელი კი თან წაიყვანა.

მოხუცი ცოლ-ქმარი ქათამს საკენკს უყრიდა. თავიანთი ეგონათ. რა იცოდნენ, რომ იგი ხელოსანს ჰყავდა წაყვანილი!

რამდენიმე დღის შემდეგ ბერიკაცს ფული დასჭირდა. აიყვანა ქათამი და უთხრა: ლირები დადეო, მაგრამ ამაოდ. მიხვდა, რაც მომხდარიყო. ხელოსანთან მივიდა და ნაქურდალი უკან მოსთხოვა. რაც იყო, იყო. საიდუმლო შენც გაიგე. ქათამი დამიბრუნე და რამდენ ლირასაც დადებს, შუაზე გავიყოთო, – შეეხვეწა.

– არ მინახიხარ, არ გიცნობ, არ მესმის, რას მეუბნები. აქედან გამეცალეო, – უთხრა ხელოსანმა.

საწყალი მოხუცი შინ დაღონებული დაბრუნდა, მეორე დღეს კი ისევ თავის მინდორში წავიდა სამუშაოდ.

გზად ნახა, მზე და მთვარე ისევ კამათობდნენ. ბერიკაცი დაინახეს თუ არა, ჰკითხეს:

– გზა დაგვილოცნია, მოხუცო. გვითხარი, მზე უფრო მეტად ანათებს თუ მთვარეო?

– მზე დღისით ანათებს უფრო მეტად, მთვარე კი ღამითო, – უთხრა ბერიკაცმა.

მზემ და მთვარემ დიდი მადლობა გადაუხადეს და ჰკითხეს: რა მოგცეთო?

– რაც გაგიხარდეთო, – უპასუხა მოხუცმა.

მაშინ სუფრა მისცეს და უთხრეს:

– სანამ შინ მიხვალ, გაშალე და, რა საჭმელსაც ინატრებ, გაჩნდება, მაგრამ გაუფრთხილდი, არ მოგპარონო.

– ნუ ინაღვლებთ, ახლა ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეო, – უპასუხა ბერიკაცმა.

აიღო სუფრა. გაშალა და, რაც უნდოდა, შეჭამა.

შინ გახარებული დაბრუნდა და ცოლს კარგი

ამბავი შეატყობინა. სუფრა გაშალეს. ჭამეს და სვეს, რამდენიც მათს გულს გაუხარდებოდა.

ასე იქცეოდნენ ყოველდღე და უზომოდ კმაყოფილები იყვნენ. რაც უნდოდათ, ყველაფერს უშრომლად სუფრაზე პოულობდნენ.

ერთ დღეს მოხუცმა დედაბერს უთხრა:

– მოდი, მეფე დავპატიჟოთ თავის ლაშქართან ერთადო.

– მართალი ხარ, ბერიკაცო, – დაეთანხმა დედაბერი, – ხელმწიფე ჩვენით კმაყოფილი დარჩებაო.

მოხუცმა მეფე თავისი ჯარით შინ მიიწვია. ხელმწიფე გაოცდა, მაგრამ, ბერიკაცისთვის რომ არ ეწყენინებინა, ლაშქართან ერთად ეწვია. მოხუცმა ეს სუფრა გაშალა და მეფეს უთხრა, რაც გსურდეს, მიირთვიო. ნამდვილი სასწაული იყო! სუფრიდან ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები და ძველი ღვინოები მოედინებოდა. ხელმწიფემ ბერიკაცს ჰკითხა, სუფრა სად იპოვეო. მოხუცს არ უნდოდა მისთვის ეთქვა მზისა და მთვარის შესახებ და, ჩემს მინდორშიო, უპასუხა.

– ბერიკაცო, შენ და შენს ცოლს ასეთი სუფრა რად გინდათ, მარტონი ხართ, მე კი ჩემი ლაშქრისთვის მჭირდებაო, – უთხრა მეფემ.

ხელმწიფემ მოხუცების ჩივილს ყური არ ათხოვა და სუფრა თან წაიღო.

საწყალმა ბერიკაცმა ბევრი იტირა, მერე კი მინდორში სამუშაოდ წასვლა გადაწყვიტა.

მიდის და ხედავს, რომ მზე და მთვარე ისევ კამათობენ.

– გზა მშვიდობისა, მოხუცო. გვითხარი, ვინ უფრო ლამაზია, მზე თუ მთვარე? – ჰკითხეს ბერიკაცს.

– მზე დღისითაა უფრო ლამაზი, მთვარე კი ღამითო, – უპასუხა მოხუცმა.

მზემ და მთვარემ მას ერთი დიდი შეშის ნაჭერი მისცეს და დაარიგეს:

– არ დაგავიწყდეს: რაც უნდა მოხდეს, ასა სოდეს უთხრა, „არ სცემო“-ო.

ბერიკაცმა წაიღო შეშის ნაჭერი. გზად ვერ მოითმინა და უთხრა, არ სცემოო.

შეშის ნაჭერმა მაშინვე ცემა დაუწყო. მოხუცი მოთქვამდა და ევედრებოდა, თავი დამანებეო, მაგრამ ის არ ჩერდებოდა.

ბერიკაცი შინ ნაცემი დაბრუნდა.

მოიფიქრა: ამით ქათამსაც დავიბრუნებ და სუფრასაცო. ხელოსანთან მივიდა და უთხრა, ჩემი ქათამი მომეციო.

– არ გიცნობ, არ მინახიხარო, – უპასუხა მან.

მაშინ მოხუცმა შეშის ნაჭერს უთხრა, არ სცემოო.

შეშამ ხელოსანს ცემა დაუწყო. ხელოსანი ისე შეშინდა, რომ მოხუცს ქათამი მაშინვე დაუბრუნა. ბერიკაცმა შინ წაიყვანა და საქათმეში ჩასვა.

ახლა ხელმწიფესთან წავიდა და უთხრა:

– მეფეო, კარგა ხანია ჩემი სუფრა შენთანაა, ახლა კი დამიბრუნეო.

– აქედან გამეცალე, თორემ ჩემს ლაშქარს ვუბრძანებ და მოგკლავენო, – უპასუხა ხელმწიფემ.

მაშინ მოხუცმა შეშის ნაჭერს უთხრა, არ სცემოო. მანაც მეფეს ცემა დაუწყო და სიკვდილის პირას მიიყვანა. ხელმწიფეს ძლიერ შეეშინდა და ბერიკაცს სუფრა დაუბრუნა. მოხუცმა აიღო, შინ წავიდა, თავის დედაბერთან ერთად დაჯდა და ჭამა-სმა დაიწყეს. მას შემდეგ მათთვის ცუდის გაკეთებას ვეღარავინ ბედავდა.

ახალი ბერძნული ენიდან თარგმნა
მაია კაკაშვილმა

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

მარი აბრამიშვილი

მელაკუდას ნათქვამი

ისე მშია,
ისე მშია,
კუჭი ისე მაქეზებს,
რომ ვიცოდე,
ქათმებია,
აღარაფერს დავეძებ, -
უხომალდოდ,
უსკაფანდროდ
გავფრინდები მთვარეზე.

ლომი და არწივი

ლომმა არწივს მიუგზავნა
ჰაწაწინა ბეღურა,
შეუთვალა: მესტუმრეო,
დაგიხვდები მეფურად.
არწივმა თქვა: - რას მიჰირებს
ლომი ფაფარიანი?
თუ ვგონივარ ფრინველთ მეფე
ბრიყვი, თავქარიანი?
ტეეში უნდა შემიტეუოს,
დამასიოს მხეცები,
ვისაცა შურს ჩემი ფრთები,
იმას როგორ ვეწვევი? -
ჩამოსძახა: - მანდ რა მინდა,
აქ ამოდი, ბუხუნავ,
შენი სახლი ჩემს კოშკებთან
მოგაჩვენო ხუხულად.

კატა, კნუტი და გოჭი

გადახვევია კატა
თავის კნუტს,
ტკბილად სძინავს და
კრუტუნებს:
- კრუტ, კრუტ...
მიუახლოვდა გოჭი და,
- ღრუტ, ღრუტ...
კატამ ასწია თათი და:
- დუტ, დუტ!

ტრაბახა თაგვი

ერთი თაგვი ტრაბახობდა:
- კატა ჩემი ძმაკაცია.
უცებ „ძმაკაცს“ თვალი მოჰკრა,
შიშისაგან გააცია,
თავის მოძმე თაგუნები
გულიანად გააცინა:
- ვერ უეურებთ ამ ბაქიას,
რა გმირი და მამაცია?

მხატვარი ნანა სანაია

მამუკა სალუქვაძე

ღუსვოხდი

1. გაისვრი, გაზუზუნდება
და უმალ უკან ბრუნდება.

4. მავთულია, მილია,
იღუნება, რბილია,
არის რკინის მაგვარი,
თუმცა არ არის მაგარი.

6. თვითმფრინავია ნამდვილი,
თუმცა ნაკეთები ფანერით,
მოძრაობს, დაფრენს უძრავად,
იცი, რა ჰქვია? . . . . . .

2. მჟავეა და ტკბილია,
სამურაბე ხილია.



5. შიგნით გზა არის მრავალი,
აქეთ და იქით სავალი,
მაგრამ გარედან ერთი აქვს
შესავალ-გამოსავალი.

3. გაგაოცებს, ცხადია,
საოცარი რაც არის,
ჟინვალჰესის მახლობლად
დგას ასეთი ტაძარი.
რჩება გაოცებული
ეჟელა მისი მნახველი,
ასო ა-ზე იწყება
ამ ღმრთის სახლის სახელი.

მხატვარი ქეთი გივიშვილი

ოლღა ჭრელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავების მკეთებელი ცხოველები

შორს, ცივ ისლანდიის კუნძულზე, ერთ მოგზაურს უნახავს ნავის მკეთებელი თაგვები. „მე ვნახეო, — ამბობს მგზავრი, — ექვსმა თუ ათმა თაგვმა ერთად მოიყარა თავი, აირჩიეს სასუქის გამხმარი, თხელი ნაჭრები, დააწყეს ზედ ხილი და სხვა საზრდო, მიათრიეს იმ მდინარესთან, რომლის მეორე ნაპირზე უნდა გადასულიყვნენ, შეაცურეს წყალში ეს სასუქის დატვირთული ნაჭერი და თვითონაც შემოსხდნენ ზედ, ისე რომ თავები საზრდოსკენ მიიშვირეს, ხოლო კუდები წყალში ჩაუშვეს. შესაძლებელია, რომ კუდებით ურუებდნენ* წყალს. ამგვარად გადადიოდნენ მეორე ნაპირზე“.

სხვებსაც უნახავთ მოგზაური თაგვები. ისინი ყვებიან ტომრის მსგავს სოკოზე, რომელსაც „წვიმის სოკოს“ ეძახიან. თურმე თაგვები პოულობენ წვიმის სოკოებს, შიგ აწყობენ თავიანთ საზრდოს, უდებენ ნავებზე და გადააქვთ მეორე ნაპირზე.

ინგლისში იცის ერთგვარი მსხვილი ობობები, რომლებიც ბალახებისგან აკეთებენ ბურთივით მრგვალ ნავებს, ქსელით ამაგრებენ, ჩასხდებიან შიგ და დაცურავენ წყალში.

მწერები ხშირად ცვივიან წყალში და სწორედ იმათ დასაჭერად მოგზაურობენ ობობები. მთელი ზაფხული ამგვარად ნადირობენ.

ამერიკელ ჭიანჭველებზე კი აი, რას მოგვითხრობენ მოგზაურები:

ჭიანჭველას ჯარი მიადგა ერთ მდინარეს, მეორე ნაპირზე უნდოდა გადასვლა. განიერ მდინარეზე ეს ადვილი მოსახერხებელი არ იყო. ჯარი მიდიოდა ნაპირ-ნაპირ და თითქოს რაღაცას ათვალიერებდა. ნაპირი მაღალი იყო და ბალახით აბიბინებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ქეთი გივიშვილი

ბოლოს მიადგნენ ქვიშიანსა და დაბლობ ნაპირს. აქ ჯარი შედგა და ჭიანჭველებმა წინ და უკან სირბილი დაიწყეს. „მე შევნიშნე, — ამბობს მნახველი, — რომ პირით ნაფოტები მიჰქონდათ წყალთან: ნაფოტებს შეაცურებდნენ წყალში და თვითონაც ზედ სხდებოდნენ.

მეორე რიგი ჯარისა ნაფოტებზე მსხდომ ჭიანჭველებს პირით იჭერდა, ფეხებით კიდევ ნაფოტებს იმაგრებდა, რომ წყალს სათითაოდ არ წაეღო ჭიანჭველები თავ-თავიანთი ნავებით. მეორე რიგი ჭიანჭველებისა ისე იქცეოდა, როგორც პირველი. ასე რომ, ყოველი ჭიანჭველა იჯდა თავის საკუთარ ნავში. მალე ურიცხვი ჭიანჭველა მოეფინა მდინარეს. ჭიანჭველებით ერთმანეთზე გადაბმული ნავები წყალმა გაიტანა მეორე ნაპირას. ვიდრე ჯარი მთლად არ გადავიდა, ამგვარი მუშაობა არ შეწყვეტილა.

„ნაკადული“
№21, 1910 წ.

*ურუებს – სავალ გზას აძლევს წყალს.

ქეთევან ჭილაშვილი

* * *

უჩინმაჩინი მგზავრია,
რაც თავი მახსოვს, გზაშია,
მიდის და მიედინება,
არცა სწყურია, არც შია.

* * *

ფუტკარმა ავსო-გაავსო
პირამდე სანთლის ქოთნები
და მერე ბავშვებს უბზუა –
ჩქარა, კოვზები, კოვზები!

გიორგი წერეთელი

* * *

ცალი მხარით აბია,
მიდი-მოდის ცალით,
მომსვლელიც და წამსვლელიც
მას ხელს ართმევს კრძალვით.

* * *

ჰაწაწინა ნიანგს მოჰგავს,
კლდეზე ცოცვა არ ბეზრდება,
გრძელ კუდს ხელში შეგატოვებს,
იცის, მაინც გაეზრდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ესაძე

კარგი ბიჭი

მართლა თუ ხარ კარგი ბიჭი -
არ ჩაიდო ჰირში თითი,
ნუ დაახვევ ბაბუს თავბრუს
და უკელი სიცილ-ხითხითს.

თუ გინდა, რომ დაინახო
მანქანა და კიბე,
მაშინ ბაბუს სათვალეს
ცხვირზე ნუ მიიდებ...

ლიდა სტვილია

ბალ-წამალი ბალამწარა

ამ ბალს ჩიორა ჩიტები
კენკავენ, არ ემდურიან,
ტკბილი იმიტომ არ არი -
ტეისაა - გარეულია.
ველურ ბალ-წამალს ეძახის
ბებიკო... და ეცინება:
- რაც ბალამწარა მივირთვი,
არ მემართება ციება!

ვანო ჩხიკვაძე

ქამა

ერთი შეხედეთ ამასა,
ამ დარბაისელ ქამასა -
ჩვენი ჰატარა ტეისჰირი
მორთო და გაალამაზა;

თვალით გვანიშნებს, არ ენდოთ
სოკოფშუტას და შხამასა,
თვითონ ჩაუხტა კალათში
ვანიკოსა და ანასა.

დალი მაზმიშვილი

კესანეს ვედრება

ჯერ ნუ ჩახვალ, მზეო,
ცოტა მადროვეო,
ცა და მიწა ერთხელ კიდევ
დამალოცვინეო,
კვირტი დამრჩა გასაშლელი,
გამაშლევინეო!

მხატვარი სალომე პაიჭაძე



კროსვორდი შეადგინა კაჭრეთის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ კახა ჯაჭვაძემ „დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედიის XIII წიგნის (მათემატიკა) მიხედვით.

1. პირველი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი; 2. სიგრძის საზომი ერთეული; 3. შუაზიელი მათემატიკოსი, სახელგანთქმული პოეტი; 4. მანძილი, რომელსაც გაივლის ადამიანი იმ დროის განმავლობაში, რაც ჭირდება მზის დისკოს ჰორიზონტზე ამოსასვლელად; 5. რომელ ქვეყანაში დააარსა პტოლემემ „მუზების ტაძარი“? 6. ერთ-ერთი ცნობილი თეორემა, რომელსაც რამდენიმე ასეული დამტკიცება აქვს, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. ვის ეკუთვნის იგი? 7. მათემატიკოსი, რომელიც საფრანგეთ-ესპანეთის ომის დროს დაშიფრული წერილების წაკითხვაში ეხმარებოდა ფრანგებს; 8. უმარტივესი ფიგურა; 9. არითმომეტრის გამომგონებელი; 10. ბერძენი მეცნიერი, რომელმაც გამოთვალა ეკვატორის სიგრძე.

თუ კროსვორდს სწორად შეავსებთ, ფერად სვეტში მიიღებთ ბერძენი ფილოსოფოსის სახელს.

კითხული!

„დილის“ ლიტერატურული კონკურსი ამჯერად მკითხველებს არატრადიციულ „შეჯიბრებაში“ იწვევს – აქ მთავარია ფანტაზია, საინტერესო ამბის თხზვის უნარი და სიტყვათა მდიდარი მარაგი, რათა გამოგონილი ორიგინალურად გადმოსცე: მოთხრობაში, სათაურის ჩათვლით, ყველა სიტყვა ერთსა და იმავე ასოზე უნდა იწყებოდეს. მაგალითისთვის სახელდახელოდ შეთხზულ პატარა ამბავს გთავაზობთ:

დღეობა

დღე დიდებულად დაიწყო. დასვენებაა და დაარხეინებული დავბორიალებ. დათომ დამიძახა: დიტომ დაბადების დღეზე დაგვპატიჟა, დაბლა დაგელოდებიო.

დაღმართზე დაოთხილები დავეშვით. დავწინაურდი და დარაბაზე დავაკაკუნე. დიტოს დოგმა დაიყეფა. დანახვისთანავე დრუნჩი დაგვადო, დაგვყნოსა და დაიმედებულმა დაგვტოვა.

დიტო დაბადების დღეს დაედინჯებინა. დიდივით დოინჯშემოყრილი დადიოდა. დიტო და დინჯი?! დაიჯერეთ? დიდი-დიდი, დაღამებამდე დაიოკოს დაუდეგრობა...

დიტოს დიდბაფთებიანი და დივანზე დასკუპულიყო, დოლი დაეკავებინა და დამპა-დუმპა-დამპაო, დასძახოდა. დავყრუვდითო, დაუცაცხანა დედამ. დიტოს დიდბაფთებიანმა დაიკომ დაიმორცხვა და დაკვრა დაამთავრა.

დაღამებისას დავიშალეთ და დაღლილ-დაქანცული დავბრუნდით დღეობიდან.

ნაწერი შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ რედაქციაში მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №14, ან ელექტრონული ფოსტით: dila1904@yahoo.com. საუკეთესო მოთხრობა განთავსდება „დილის“ ვებ-გვერდზე და დაიბეჭდება ჟურნალის მომავალ ნომერში.

თამარ გაბროშვილი

ქაჯვისფერი ცრემლი

შუაგულ ბაღში გამორჩეულად ლამაზი, დიდი, ტოტებგადაშლილი თეთრი ბლის ხე დგას. დამწიფდება თუ არა, გათენებიდან დაღამებამდე მის ირგვლივ ჩიტების ჭიკჭიკი და ბავშვების ჟრიამული არ ილევა. პატარები მთელი დღე მის ტოტებზე დაცოცავენ. ყოველ წელს ასეა – რაც კი ბალი ასხია, სულ ზედ შემოჭამენ. რომ ნახო, გაგიკვირდება, ხის ქვეშ ერთ წერტილს ვერ ნახავ, რომ ბლის კურკა არ ეგდოს. კურკაფენილი დიდი რუდუნებით დაგებულს ჰგავს.

ამ დილითაც პირველი ერთი ცქნაფა გოგო ახტა ბლის ხეზე და ჩიტების გალობას ბანი მისცა. მალე სხვებიც შემოემატნენ და ერთად მოიფიქრეს, ყველაზე სწორ და მსხვილ ტოტზე საქანელა ჩამოებათ. მალევე მოიტანეს თოკი და საქანელა ჩამოაბეს, მერე პაწია ბალიში, ყურთბალიშს რომ ეძახიან, მოარბენინეს, დასაჯდომად ჩააგეს და რიგიც დაიკავეს. იმატა ჟრიამულმა და სიცილ-კისკისმა. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაქანდებოდნენ და გამოქანდებოდნენ. მთელი დღე არ შეუსვენიათ.

იმ ღამით საქანელაჩამობმულმა ტოტმა ტანში ტკივილი იგრძნო. ტკივილმა ისე იმატა, რომ ცრემლი თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოუვიდა.

დილაუთენია ჩიორები მოფრინდნენ და რა ნახეს ხის გაჭირვება, სევდიანად აჭიკჭიკდნენ. მალე მზეც ამოვიდა. მტირალ ხეს მიეფერა, მცხუნვარე დილის სხივებით ცრემლები ოქროსფრად შეუდედა. მთელ სიგრძეზე ბლის ხეს ცრემლები გამჭვირვალე ყვითელ-ყვითელ ბურთულებად ჩამოეკიდა.

გოგონამაც, გაიღვიძა თუ არა, საყვარელ ხესთან მიირბინა და გაოცდა. ნეტა ეს რა არის, ეს მძივი ხეს საიდან გაუჩნდაო. მძივის მარცვალს პაწია თითი მიაჭირა. რბილი იყო. მერე მოწყვიტა და დედასთან მიირბინა.

– დედი, დედი, ეს რა არის?.. ბლის ხეზე სულ ასეთებია.

– ეგ, შვილო, ფისია, ხის ცრემლია... ბევრი რომ იქანავეთ, ხეს ტოტი სტკენია. აბა, შენც რომ გატარებინონ ძალიან მძიმე ტვირთი, ხომ დაიღლები. ხეც დაიღალა და იტირა... ახლა ავადაა. ხეს თავისი ცრემლი, ეგ ფისი უშველის, მოარჩენს, ოღონდ, თქვენც უნდა მიეხმაროთ.

– მე არ მინდა, რომ ჩვენს ხეს რაიმე სტკიოდეს. ახლავე ბავშვებს დავუძახებ და საქანელას ჩამოვხსნით.

საქანელა მალე ჩამოხსნეს.

ხემ შვებით ამოისუნთქა.

მეტი აღარ უტირია, მაგრამ მაშინდელი ქარვისფერი ცრემლი ისევ ტანზე აქვს აკრული, რომ ბავშვებს, ხელში რომ ჰყავს აყვანილი და ჩაშაქრული ბლით უმასპინძლდება, გაახსენოს, მასაც მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

მხატვარი გიორგი ლოლუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

55-ე

სკოლა

2005 „დილის“ საიუბილეო წელია. ახლახან საყმაწვილო ჟურნალი თბილისის 55-ე საშუალო სკოლამ მიიპატიჟა და ისეთი დღესასწაული მოუწყო, ასი წლის იუბილარს რომ შეშვენის. მეორეკლასელთა ხელმძღვანელის ნინო ჯაიანის მიერ მომზადებული ინსცენირების მთავარი გმირი „დილა“ იყო.

ᲒᲐᲛᲬᲐᲗᲮᲘᲕᲐᲠᲘ

ძალიან გვიმძიმს...

„დილის“ ეს ნომერი დასაბეჭდად იყო მზად, როდესაც მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი თანამშრომელი და მეგობარი, პოეტი ვაჟა ყუბუსიძე – ვაჟა ბაბუ...

ვაჟა, ძვირფასო! კარგად მახსოვს, ჩემი რედაქტორობის დროს, როცა რედაქციაში პირველად მობრძანდით, შეწუხებული ჩანდით – დავიღალე უმუშევრობითო.

როცა შემოგთავაზეთ, „დილაში“ ხომ არ იმუშავებდითმეთქი, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღეთ, მერე მოიბოდიშეთ და თქვით, ხომ იცი, სამსახურში ასე არ იღებენ და გაოცებისგან დავიბენით! ვაჟა, თქვენებრ წესიერი კაცისთვის, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, „სამსახურში ასე მიღება“!

რედაქციის თანამშრომლებსაც დიდებულად შეეწყვეთ! მერე, როცა საყმაწვილო ენციკლოპედიის წიგნი გამოვიდა, მომილოცეთ და მითხარით: „გაოცებული ვარ, ამ პატარა კოლექტივმა როგორ შეძლო, ამხელა საქმის გაკეთებაო“.

...სულ ახლახან შენი მშვენიერი წიგნიც გამოვეცით. აღარაფერი გითქვამს, მხოლოდ თვალებმა გაგცა – მათში სიხარული, სიამაყე, სითბო და მადლიერება ერთმანეთში ირეოდა!

ბოლოს ძლივსღა ამოთქვი: გაოგნებული ვარ ბედნიერებისგანო!

ძვირფასო ვაჟა, ახლა გაოგნებული მე თვითონ ვარ, ცხადია, მწუხარებისგან და უნდა მაპატიო ის მკრეხელური აზრი, რაც ახლა მე გულში უნებლიეთ გავივლე.

თუ ამქვეყნიდან შენი მოულოდნელი წასვლა მთელს რედაქციას ასე გულს გვატკენდა, ნეტა, სულ არ მომეწვიე!

მაპატიე, ვაჟა, ეს პირველად და უკანასკნელად მოხდა, სამსახურში მიღება რომ დაგამადლე...

შენი დოდი

ბატონო ვაჟა! მიჭირს წარსულში მოგიხსენიოთ. ყოველთვის მემახსოვრებით.

ნანა კვარაცხელია

ჩვენო ვაჟა! გულისტკივილი, რომელიც თქვენმა წასვლამ დაგვიტოვა, მოუშუშებელი იქნება ჩვენი რედაქციისთვის. საღდგომო კვირაძალში მიუხვალთ ზეციურ საქართველოს, როგორც ერთი გამორჩეული საბავშვო მწერალი, პატრიოტი და სახვალიო საქართველოზე მოფიქრალი კაცი.

ნანი კაკაჩია

ძალიან ამაფორიაქა ისეთი გულთბილი ადამიანის დაღუპვამ, როგორიც ვაჟა იყო!

გუგული ლეშკაშელი

ბატონო ვაჟა, თქვენი სითბო, ღიმილი და ყურადღება ძალიან დამაკლდება.

მარიკა გიორგაძე

ძალიან გულდასაწყვეტია ასეთი კარგი კაცის წასვლა ამ ქვეყნიდან. ნათელში ყოფილიყოს თქვენი სული, ბატონო ვაჟა!

ნუგზარ არჩემაშვილი

ბატონო ვაჟა, ძალიან მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ აღარ მოხვალთ რედაქციაში „დაგვიანებით“... ისიც ვიცი, რომ ძალიან მომენატრებით, მაგრამ... გემშვიდობებით და უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სული.

მაყვალა გიორგაძე

ბატონო ვაჟა, დილის კოლექტივს, ამ პატარა ოჯახს სულ ახლახანს შემოვუერთდი და მეც ისევე ძალიან დამწყვიტე გული შენი ამ ქვეყნიდან წასვლით, როგორც შენს ძველ მეგობრებს.

შენი პატარა მეგობარი, მაიკო წივწივაძე

მადლობელი ვარ... იმად, რომ... ასე გიყვარდით.

თქვენი თამუნია

ბატონო ვაჟა, არ მჯერა, რომ აღარ შემოაღებთ რედაქციის კარს და ჩვეული ღიმილით აღარ მეტყვით, დღეს განსაკუთრებით ლამაზი ხარო... და, თუნდაც „დილაში“ ნაშუადღევს მოსულიყავით, თქვენი ამ სიტყვებით იწყებოდა ჩემთვის დილა.

სალომე კვაჭანტირაძე

ბატონო ვაჟა! ქება არ გიყვარდა... არ მიწყინო, ორი სიტყვა უნდა გითხრა, შენს მოფერებას ვენაცვალე...

კაცო სანაქებო, გულიანო, დიდ-პატარათა საყვარელო პოეტო, იცოცხლებ მარად...

ვერ დაგივიწყებ!

ნუგზარ ბახტაძე

არ ვიცი, რა უნდა ვთქვა ადამიანზე, რომლის მსგავსნი იშვიათად იბადებიან – თავისი დიდ ადამიანობით, სიკეთით, ნიჭიერებით, კაცობით, მართლაც რომ ალამაზებენ ცხოვრებას.

გმადლობთ, ბატონო ვაჟა, რომ იყავით!

გმადლობთ დიდი მეგობრობისთვის!

გმადლობთ სიყვარულისთვის!

მაგდა კვაჭანტირაძე

ერთხელ

ერთმა ავტორმა, ფრიად ღვთისნიერმა და კეთილმა კაცმა, თავისი წიგნის გამოცემის მიზეზით, რედაქციის მამაკაცები სუფრაზე დაგვპატიჟა. ვსაუბრობდით პოეზიაზე, ფილოსოფიაზე, თეოსოფიაზე... რა თქმა უნდა, საუბარი ნათელსა და სამოთხეზეც ჩამოვარდა. მასპინძელმა დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა: სამოთხესა და ნათელში მარტო კაცი ვერ მოხვდება. ამაზე აქაურებმა უნდა ვიზრუნოთო, ცოცხლებმა სიკეთით უნდა გავლიოთ წუთისოფელი, ვილოცოთ წასულებზე და მერე, უამრავმა კეთილმა სულმა ერთად უნდა დავივანოთ ნათელსა და ედემშიო. შენ, ჩემო ვაჟა, ნაღვლიანად თქვი: მე მალე მივდივარ და ე. ი. ჯოჯოხეთში მომიწევს ლოდინი სამოთხეში შესვლაზეო. მხარზე ხელი დაგარტყი და დაგაიმედე: ნუ გეშინია, ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში არ ხვდებიან-მეთქი...

ახლა, როცა შენი სიტყვა აღასრულე სიტყვის კაცმა და იმ ქვეყნად გადახვედი, ასე გეტყვი: სიცრუეც რომ ყოფილიყო ჩემი სიტყვები მაშინ, შენ მაინც, სხვათა სიკეთის გარეშეც დაივანებდი სამოთხეში, რადგან აქაც, ამ ცოდვილ მიწაზე, ბალღის სულივით უცოდველმა იარე.

ალეკო გაბელაია

დასანანია განგების ასეთი ულმობელი გადაწყვეტილება, ბატონო ვაჟა. თქვენ გამოაკლდით თქვენთვის საყვარელ, შეხმატკბილებულ და იუმორით სავსე „დილის“ რედაქციის კოლექტივს.

მამუკა არსენიძე

ბატონო ვაჟა, თქვენი წასვლით ამ ქვეყნიდან დიდი მწუხარება დაგვიტოვეთ, მაგრამ თქვენთან გატარებული დრო და საუბრები მუდამ სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩება.

ციცინო

თქვენი პატარა მკითხველებივით, სიცოცხლის მიწურულს უკანასკნელ სახსოვრად მშვენიერი წიგნი რომ დაუტოვეთ, ჩვენც ძალიან მოგვენატრება ვაჟა ბაბუ.

ცისანა

ჩემო ვაჟა, შენი ღირსებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი მაინც უნდა გამოვყო – სიტყვის კაცი იყავი. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მშვენიერ ლექსებს წერდი, კაცს ჰაიჰარად არაფერს შეპირდებოდი.

წინა დღეს მცირე პურობაზე (რა უცნაური საღამო იყო, ამდენი არასოდეს გვიცინია) შემპირდი – სახლში ორი დოქი მაქვს და ხვალ ერთ-ერთი ღვინით სავსე უნდა გაჩუქო.

მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო ხელი შეეშალა შენთვის, რომ ეს დაპირება შეგესრულებინა... და მაინცდამაინც ის ერთი მოხდა.

ჯემალ კასრაძე

გამოუთქმელ მწუხარებასთან ერთად იმაზეც მწყდება გული, ბოლომდე ვერ მოვეფერეთ ამ კაცს. არც გათქმევინებდა თავის თავზე საქებარს... ახლა კი ვერაფერს ვამბობ... ჯერ-ჯერობით...

ლევან ბაბუხადია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ბაბუს მხიარული ლექსები

ტელეფონი აწკრიალდა

ტელეფონი აწკრიალდა,
ტელეფონი წკრიალა,
რაკი ნაზად აწკრიალდა
და არ დაიგრიალა,
უსათუოდ დედა რეკავს,
მამიკონა კი არა.

უნებლიე მაბეზღარა

პაწაწინა ეკამ
დედას დაურეკა:
– გეფიცები ყველასაო,
განჯინიდან გელასაო,
არ უნდოდა, არაო,
რამე მოეპარაო,
სამურაბე ქილაო
თვითონ გატეხილაო.

ონავრის შეკითხვა

მევედრება სახლის კარი:
– ფეხის ნაცვლად ხელი მკარი.
ვთქვათ და, ხელი კარსა ვკარ,
მერე ფეხი რასა ვკრა?!

ჩემი სამშობლო საქართველოა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ მოგზაურთა ახალი პროექტი სახელწოდებით „ჩემი სამშობლო საქართველოა“ – ჩვენი ქვეყნის ფეხდაფეხ შემოვლას ითვალისწინებს. მასში ორ ვეტერანთან, მერაბ ბართაიასთან და ანზორ ქავთარაშვილთან ერთად მერაბის ათი წლის ბიჭუნა გიორგიც მონაწილეობს. მოგზაურები ყოველდღე ფეხით გაივლიან ნახევარ მარათონულ დისტანციას საშუალოდ 20 კილომეტრს (სულ 200 კილომეტრი უნდა გაიარონ). პროექტი სამი ეტაპისგან შედგება: პირველი ეტაპი, რომელიც 25 მაისს რუსთავიდან დაიწყო, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის შემოვლას ითვალისწინებს და 9 მაისს გამარჯვების პარკში დასრულდება, რასაც მოჰყვება მეორე და მესამე ეტაპები. გიორგი, რომელიც ამ პროექტში „დილის“ სახელით მონაწილეობს, მოგზაურობისას ნანახის და გაგონილის დღიურში შეტანას დაგვპირდა. მის პირველ ჩანაწერებს პატარა მოგზაურის თვალით დანახულ საქართველოზე შემდეგ ნომერში ვე შემოგთავაზებთ.

სიცოცხლის გაჩენა

გაზაფხულზე ჩნდება სიცოცხლე ხეების, ყვავილების, ჩიტებისა და მრავალი სხვა სახით... ადამიანის სიცოცხლე კი შეიძლება ყოველ წამს, წუთს, საათს გაჩნდეს. ყველა ადამიანს ჰყავს თავისი მშობელი, მამა და დედა, ბებია და ბაბუა. დედა შვილისთვის უცვლელია, რადგან მან აჩუქა სიცოცხლე, ცხრა თვე მუცლით ატარა, ეფერა და ეალერსა, ბავშვია მისი სიცოცხლის აზრი.

ერთი ადამიანის დაბადებაც ქვეყნისთვის ახალი სიცოცხლის გაჩენაა და ისეთივე სასიხარულოა, როგორც ბავშვის დედისთვის, მამისთვის, ბებიისთვის ან სხვა ნათესავისთვის. შვილი დედისთვის ყველაფერია. დედის ნახევარი სიცოცხლე მისი შვილია. დედა შვილისთვის თავს გაწირავს. სიცოცხლის გაჩენა მხოლოდ ადამიანის დაბადება როდია, ეს სითბოა, სიყვარულია და ალერსია.

ანი ნოზაძე, 9 წლის

დავით ჭუმბურიძე
7 წლის

მარიამ ჭუმბურიძე
9 წლის

ხოხმაწრიწთი



ეს ლაბირინთი ისე უნდა გაიარო, რომ გზად მხოლოდ მოღიმარ სახეებს შეხვდე, მოწყენილებს კი თავი აარიდო. თან ძაფი გაიყოლე, რომ ტყუპისცალებივით მსგავს „კრეჭიებს“ ორჯერ არ უთხრა გამარჯობა და არც უსალმოდ დატოვო ვინმე.

გამოცემის 101-ე წელი

„დილის“ ბიბლიოთეკა

გამომცემელი შპს „დილა“

მთავარი რედაქტორი
დოდო წივწივაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ლევან ბაბუხადია

პასუხისმგებელი მდივანი
თამარ ნინიკაშვილი

პოეზია:
ვაშა ყუბუსიძე

პროზა:
მაგდა კვაჭანტირაძე

უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილება:
მაია წივწივაძე

შემეცნებითი და გასართობი მასალები:
ციცინო მეზვრიშვილი

„დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედია
პასუხისმგებელი რედაქტორი
ალეკო გაბელაია

„დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკა
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნანა კვარაცხელია

სტილი:
ცისანა ნიკოლაიშვილი

მხატვრობა და დიზაინი:
გია ლაფაური
თეა მიქაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნუგზარ არჩემაშვილი
მარიკა გიორგაძე
სალომე კვაჭანტირაძე

საფინანსო განყოფილება:
ნაირა ცოცხალაშვილი
გუგული ლეშკაშელი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:
მაყვალა გიორგაძე
ნანი კაკაჩია

ყდის კოლაჟი:
გია ლაფაურის

მისამართი:
თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელ: 93 10 32; 93 41 30
http://www.dila.ge/
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com

ფასი 2.50 ლარი

ბ 91/6
F 543
2005

ბილოსავთ